„თვითმმართველობა უმეტესი ნაწილია საქართველოს ყოველდღიურობის საძირკველისა. საცა უნდა ვდგეთ, ეგი ყველგან სჭირდება... ყოველი სასოფლო-საქალაქო, თვალსაზრისი ცოდვათ თუ მოვრთავდ ვდაკარგეთო, ნაწილ-ნაწილოვად ანის ვდაყოფილია, თორემ მოვდგა ვდა ძალთანაბა აღდგენილი იყოს.”

ხობის მოამბე

№9 (7112) 10 სექტემბერი,
სამშაბათი, 2019 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

16 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი იწყება

გილოცავთ!

ძვირფასო მოსწავლეებო, სტუდენტებო, პედაგოგებო, მშობლებო, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებო, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ხელმძღვანელებო და აღსაზრდელებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

განსაკუთრებით მინდა ეს დღე მივულოცო პირველკლასელებსა და პირველკურსელებს, მათ რომლეთა ცხოვრებაშიც ახალი ეტაპი იწყება. მინდა თითოეულ თქვენგანს წარმატებები ვუსურვო. საინტერესო და სიახლეებით სავსე ყოფილიყოს სკოლისა და სტუდენტობის წლები თქვენთვის. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე. გჯეროდეთ, დაუღალავი შრომით ძალიან ბევრს მიაღწევთ.

ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი მოაზროვნე, განათლებული და მოტივირებული ახალგაზრდების ხელშეწყობაა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა თითოეულ თქვენგანს ხელმისაწვდომი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გარემო შევუქმნათ. კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ, ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენგანისთვის ყოფილიყოს წარმატებებით გამორჩეული.

ირაკლი (დაჩი) ბერაია,
საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.

მოსწავლეებო, სტუდენტებო, პედაგოგებო!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! გამორჩეულად ვულოცავ პირველკლასელებსა და პირველკურსელებს–მათთვის ხომ დღევანდელი დღე სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია.

სწორედ, სკოლაში მიღებული ცოდნა და განათლებაა მყარი საფუძველი და გარანტი საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღისა.

თაობების სწავლა-განათლების საქმეში განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა მასწავლებლებს აკისრიათ. აღზარდო ქვეყნის მომავალი თაობა, მეტად საპატიო საქმეა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ წარმატებულ და ნაყოფიერ საქმიანობას ქვეყნის საკეთილდღეოდ!

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

უდიდესი პატივისცემითა და სიხარულით გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას პედაგოგებს, მშობლებს და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომელთა უპირველესი მოვალეობა ქვეყნის წინაშე არის სწავლა-განათლება.

თქვენ უნდა განავითაროთ თქვენი ინტელექტუალურ-შემეცნებითი პოტენციალი, ფიზიკური და სულიერი თვისებები, ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დაგჭირდებათ, რათა სწორად განსაზღვროთ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური, ინტელექტუალური და პოლიტიკური ინტერესები, შექმნათ ბედნიერი მომავალი და შეუერთდეთ თავისუფალ მსოფლიოს ღირსეულ მოქალაქეებად!

ფასდაუდებელია პედაგოგების ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე. თქვენ აყალიბებთ განვითარებისა და წინსვლის საფუძველს–განათლებულ და გონიერ თაობას. გისურვებთ მიღწევებსა და წარმატებებს ახალ გამოწვევებთან ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად! ხელისუფლება მუდამ იზრუნებს ახალგაზრდობის განათლებისა და მრავალმხრივი განვითარებისთვის საჭირო გარემოს შექმნისთვის.

გისურვებთ წარმატებულ სასწავლო წელს. ღმერთმა გაგაძლიეროთ და მოგმადლოთ ნიჭიერება და სწავლისმოყვარეობა.

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ცენტრალური პარკი

ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ

„2018 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ჩემი წარდგენის მიზანი და მთავარი მანდატი იყო სწორედ ქვეყნის განვითარების სტრატეგიული ჩარჩოს შექმნა და დანერგვა, რომელიც შემდგომი წლების განმავლობაში უზრუნველყოფდა ჩვენი სახელმწიფოებრივი მიზნების მიღწევას, გახდებოდა ქვეყნის განვითარების სახელმძღვანელო.

განვითარების სტრატეგიული ჩარჩო შექმნილია, დანერგილია და შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება თანამდებობის დატოვების შესახებ, რადგან ვთვლი, რომ ჩემი მისია ამ ეტაპისათვის შევასრულე“,–წერს ბახტაძე.

როგორც მამუკა ბახტაძე წერს, იქნება „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი და ქვეყნის ერთგული ჯარისკაცი.

„მსურს, მადლობა გადავუხადო ჩემს წინამორბედებს და წარმატება ვუსურვო მომავალ პრემიერ-მინისტრს“, - წერს ბახტაძე.

საქართველოს პარლამენტმა გიორგი გახარიას და მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა, მთავრობამ 98 დეპუტატის მხარდაჭერა მიიღო.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ

გიორგი გახარიას სამთავრობო პროგრამა პარლამენტის ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას სამთავრობო პროგრამა, რომელიც 2019-2020 წლების მთავრობის სამოქმედო გეგმაა, პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. პროგრამის მოცულობა 37 გვერდამდეა. პროგრამის სამი მთავარი, ძირითადი მიმართულება უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური განვითარება და განათლებაა.

პროგრამაში ვრცლად წერია გახარიას და მისი კაბინეტის გეგმების შესახებ დასაქმების, ჯანდაცვის, იძულებით გადაადგილებული პირების, ოკუპირებული რეგიონების, ინფრასტრუქტურის, ტურიზმის, ასევე საგარეო პოლიტიკის კუთხით, მათ შორის რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმისა და დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობების განმტკიცებისა და გაძლიერების შესახებ.

საქართველოს პარლამენტმა გიორგი გახარიას და მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა მთავრობამ 98 დეპუტატის მხარდაჭერა მიიღო.

საპარლამენტო კომიტეტებში პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას მიერ წარმოდგენილი „სამთავრობო პროგრამა 2019-2020 წ.წ.“ განხილეს

კომიტეტების წევრებმა იუსტიციის მინისტრობის კანდიდატს **თეა წულუკიანს**, შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატს **ვახტანგ გომელაურს**, თავდაცვის მინისტრობის კანდიდატს **ირაკლი ღარიბაშვილს** და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატს **ქეთევან ციხელაშვილს** მოუსმინეს.

იუსტიციის მინისტრობის კანდიდატმა, **თეა წულუკიანმა** იმ გეგმების შესახებ ისაუბრა, რომელთა განხორციელებასაც იუსტიციის სამინისტრო მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე გეგმავს.

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა, **ვახტანგ გომელაურმა** ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროში გატარებულ და დაგეგმილ რეფორმებზე.

„ჩვენი მიზანია ქვეყანაში მართლწესრიგის დაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და, ამავდროულად, მოქალაქეების მხრიდან სამართალდამცავი სტრუქტურის მიმართ ნდობის შემდგომი ამაღლება“,–განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისივე თქმით, ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს ე.წ. სისტემური განახლების პროცესი, რომლის მიზანია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფა.

ვახტანგ გომელაურის განცხადებით, სისტემური განახლების ფარგლებში მიმდინარე რეფორმები შეეხება სამინისტროს ყველა ძირითად სპოლიციო დანაყოფს, როგორიცაა: კრიმინალური და საპატრულო პოლიცია, სასაზღვრო პოლიცია. მისივე თქმით, რეფორმირების პროცესში ხორციელდება სისტემის სრული ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა და დანაშაულის პრევენციაა.

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატის გამოსვლის შემდეგ, დეპუტატების წინაშე თავდაცვის მინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი წარსდგა.

„ჩვენი გუნდის გადაწყვეტილებით, დაგეგმილია ჩემი დაბრუნება აღმასრულებელ ხელისუფლებაში, თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე, რომელიც ჩემთვის უაღრესად საპატიო და საამაყო შემოთავაზებაა. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ეს დამაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის წინაშე და პირველ რიგში კი, ჩვენი საამაყო ჯარისკაცების წინაშე. ჩემი მინისტრობის თუ პრემიერ-მინისტრობის ძალიან მოკლე პერიოდში, მე ყოველთვის მქონდა უკმარისობის განცდა, რომ ბოლომდე ვერ დავიხარჯე ჯარისთვის, ამ სამინისტროსთვის და ჯარისკაცებისთვის ვერ გავაკეთე ის ან იმდენი, რამდენიც მქონდა მოაზრებული ან დაგეგმილი. აქედან გამომდინარე, თქვენ ალბათ გესმით, რომ მე ვარ უაღრესად მოტივირებული, რომ ახლა, ჩემი მინისტრად დამტკიცების შემთხვევაში ბოლომდე დავიხარჯო, ბოლომდე ვემსახურო ამ სამინისტროს და ჩვენს ღირსეულ და საამაყო ჯარს“,–განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, არსებულ საფრთხეებთან გამკლავების და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიზანს წარმოადგენს მდგრადი, ეფექტური და ქმედითი თავადაცვის სისტემების ჩამოყალიბება.

„საქართველოს თავდაცვის ძალების გაძლიერება, მინდა მკაფიოდ და ხაზგასმით აღვნიშნო, არ არის არავის წინააღმდეგ მიმართული და მიზნად ისახავს მხოლოდ თავდაცვით შესაძლებლობების გაზრდას და ემსახურება ჩვენს რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას“,–აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ

„ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრის პოსტზე შს მინისტრი გიორგი გახარია წარადგინა. შესაბამისი განცხადება პარტიის ოფისში რამდენიმე წუთის წინ თავად „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა.

გიორგი გახარიას მთავრობის მეთაურად დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება დილიდან „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოსა და უმრავლესობის სხდომებზე შეთანხმდა.

როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, გუნდს გახარიას კანდიდატურა თავად შესთავაზა:

„დღეს დილით გვქონდა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის პოლიტსაბჭო. პოლიტსაბჭოზე მე, როგორც პარტიის თავმჯდომარემ წარვადგინე ახალი კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას სახით. მივიღეთ სრული მხარდაჭერა. ამის შემდგომ უმრავლესობასთან გვქონდა შეხვედრა და იქაც კითხვებიც არ დასმულა და ეს არის ჩვენი არჩევანის ობიექტური შეფასება.

თქვენც და საზოგადოებაც კარგად იცნობს გიორგი გახარიას. მე ვფიქრობ, მან საკუთარი მოღვაწეობით, დაწყებული ბიზნესომბუდსმენობიდან, შემდგომ ის გახლდათ ეკონომიკის მინისტრი, შემდეგ კი შს მინისტრი, ღირსეულად დაიმსახურა ამ პოსტზე მისი წარდგენა და მე ვფიქრობ, მას პარლამენტი აუცილებლად დაამტკიცებს“,–განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ

დაბადების თარიღი: 19.03.1975.

განათლება და კვალიფიკაცია:

1992-1994 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე

1994-1999 წლებში–მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მიენიჭა პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.

2003-2004 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის უმაღლეს ბიზნეს სკოლაში, სადაც მიენიჭა ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი

პროფესიული გამოცდილება:

1999-2008 წლებში–მუშაობდა სხვადასხვა კერძო ორგანიზაციაში ხელმძღვანელ პოზიციებზე

2006 წლის სექტემბრიდან 2009 წლის მაისამდე იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიოტექნოლოგიის მოწვეული ლექტორი

2008 წლის ნოემბრიდან 2013 წლის თებერვლამდე იყო Lufthansa Service Holding AG. LSG in Frankfurt, Germany ბიზნესის განვითარების დირექტორი აღმოსავლეთ ევროპაში, დსთ-ის ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციაში

2013 წლის მარტიდან 2016 წლის ივლისამდე იყო საქართველოს ბიზნესომბუდსმენი

2014 წლის დეკემბრიდან 2016 წლის სექტემბრამდე იგი იყო საქართველოს პრემიერმინისტრის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში - ეკონომიკური საბჭოს მდივანი

2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე იკავებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობას

2017 წლის 13 ნოემბრიდან არის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ასევე–საქართველოს ვიცეპრემიერი

2019 წლის 30 აპრილიდან დაეკისრა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის ფუნქცია

ენები:

ინგლისური, რუსული.

ოჯახური მდგომარეობა:

მეუღლე და ერთი შვილი.

ცენტრალური პარკის პრეზენტაციაზე

ხობი სილამაზის ქალაქი იქნება

მშობლიურ კუთხეზე უზომოდ შეყვარებულს, ძალიან მახარებს ჩემი ქალაქის ყოველდღიური ფერისცვალება. სამსახურში მიმავალს, ყოველ დილით, ცენტრალური პარკის შესასვლელთან სიამოვნებით ვაყოლებ თვალს ფერად-ფერად ბეტონის ფილებს, კვასკვასა ველობილიკს, საფეხმავლო ზოლს, ბეტონის ანკრებს, ლამაზ ბორდიურებს, ხასხასა მწვანე კორდებს, ცისარტყელას ფერის ლაბირინთებს, საბავშვო სატრენაჟოს, საჭადრაკო დაფებს, საკალათბურთო მოედნებს, ველსადგომებს... თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ, გაბრწყინებულ პარკში მოსეირნე წყვილებს, ბავშვებს, ახალგაზრდებს, დილიდანვე დეკორატიულ სკამებზე ჩამომჯდარ მოფუსფუსე მოხუცებს და მათთან შეხვედრა–გასაუბრება მომინდა.

–მე ფოთელი ქალი ვარ, 78 წლის. კარგად მახსოვს ხობი ფოთის გზაზე ხეივანი (ჭადრების) კოკაიამ როგორ გააშენა და დღემდე მას კოკაიას ხეივანს უწოდებენ. აქ 55 წელიწადია ვცხოვრობ ეს ჭადრები ალიოშა წურწუმიას ინიციატივთ დაირგო. დღეს კი ამ ჭადრების ქვეშ ულამაზესი პარკი გაშენდა. მე როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, უფლება არ მაქვს მადლიერება არ გამოვხატო იმ ახალგაზრდა კაცის ირაკლი ბერაიას მიმართ ვისი ინიციატივითაც ეს პარკი გაშენდა. ხშირად მესმის შვილო ქება მისი. ღმერთმა დალოცოს და უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ასეთი ახალგაზრდები დილიდან გამოსული ვარ და სიამოვნებით ვსეირნობ. დარწმუნებული ვარ გავა დრო და ამ პარკსაც სიმბოლურად „ბერაიას“ პარკს დაუძახებენ. ხალხი არავის და არაფერს ივიწყებს. ვფიქრობ, ის ხობის „დესპანია“.

–ზუგდიდელი ვარ ყოველ წელს ჩამოვალ ხობში ბებია და ბაბუასთან, რადგან პარკში კარგად ვერთობი, კალათბურთს ვთამაშობ.

–მე აქაური ვარ. პარკი ძალიან მომწონს, მითხრეს კიდევ მეტი სივრცე იქნებაო, კარგი იქნება თუ შიგნით მინიფეხბურთის მოედანს გააკეთებენ.

–როგორც გავიგე ამ პარკის მოწყობის ინიციატორი მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი ირაკლი (დაჩი) ბერაიაა. მისაბაძია მისი თავდადება. სიახლეების დანერგვის ნიჭი, უნარი. ხობის და ხობელების სიყვარული. მინდა ყველას ვუთხრა, ყველაფერს დანახვა და დაფასება უნდა, გაკათებულს მოვლა-პატრონობა, ვისაც შენება არ შეუძლია აშენებულს მაინც ნუ გააფუჭებენ ჩემი თხოვნა იქნება.

სტუმრად ჩამოსულ შვილიშვილს ყოველდღე ვასეირნებ კარგია, რათქმა უნდა, კარგია...

აი ასეა, შენდება, მშვენდება, ლამაზდება, „მე მიყვარს ხობი“ და ის ევროპულ ქალაქებს ემსგავსება. მალე ჩემი ხობი სილამაზის ქალაქი იქნება, პარკი კი „ოცნების“ ხეივანი.

17 აგვისტო, ხობი, ახალი პარკის პრეზენტაცია...

საზეიმო ცერემონიალზე განსაკუთრებული მისია დაეკისრათ ხობის საპატიო მოქალაქეს, დამსახურებულ ექიმს ლუთი (ლევან) ქავთარაძეს და წარმატებულ ახალგაზრდებს ნინო ქირიას და მერაბ დოლბაიას. წითელი ლენტი დემონსტრაციულად გაიჭრა. პარკის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა.

ამ განსაკუთრებული დღესასწაულისთვის საგანგებოდ იყვნენ მომზადებულნი სხვადასხვა მუნიციპალიტეტების–ჩხოროწყუს, მარტვილის, სენაკის, ფოთის, აბაშის, ზუგდიდის კულტურისა და ხელოვნების დარგის წარმომადგენლები.

დღე საინტერესო ღონისძიებებით იყო დატვირთული. მოეწყო გამოფენა-გაყიდვა ბრჭყვიალა, ელეგანტური, კლასიკური ნამუშევრების, ხელთნაკეთი ნივთების, ნაქარგების, ნახატებისა და თვითნასწავლი ხელოვანის, პროფესიით ექიმის, ნათია სიგუას დახვეწილი გემოვნებით შესრულებული აქსესუარებით.

ქართული და უცხოური ზღაპრების კოსტიუმირებული გმირები ფერად-ფერადი საჰაერო ბუშტებით მოსეირნენი ახალისებდნენ ირგვლივ მყოფთ.

ზეიმის პროგრამა მრავალფეროვანი გახლდათ. დღესასწაულის მეორე ნაწილმა დარბაზში გადაინაცვლა. ღონისძიება სპორტული ცეკვებით გაიხსნა. საღამოზე, როგორც ადგილობრივი ისე სხვა ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა და ჯგუფმა „ერთმა მეოთხედმა“ სცენაზე ცეცხლი დაანთეს. დარბაზი ოვაციებს ვერ მალავდა, ხოლო მომღერალმა ლინდა ადამიამ აღფრთოვანება ვერ დამალა და მაყურებელს შესძახა „ბრავო“, „ბრავო“, „ბრავო ხობი“.

ჟუჟუნა წვიმის ფონზე, ულამაზესი სანახავი იყო ცეცხლოვანი შოუ, სიმბოლურად პატარებს საჩუქრად დაურიგდათ ნაყინი, რითაც კიდევ უფრო გაიხარეს.

კულტურის სახლის ფოიეში კი გვიან ღამემდე გაგრძელდა ელოქტრონული მუსიკა. სადაც იმღერეს, იცეკვეს იხალისეს ახალგაზდრებმა. საღამო ულამაზესი ფეიერვერკებით დასრულდა.

მადლობა ამ დღის ორგანიზატორებს, კაშკაშა საღამოს მოწყობისთვის...

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯომარის მოადგილე ზვიად ძიძიგური, ხობის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი (დაჩი) ბერაია, პარლამენტის წევრი გიგა ბუკია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია, ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი მერაბ ქვარაია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

რაც შეეხება პარკის II და III ეტაპის მშენებლობას, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დაფინანსებით გრძელდება. იქ ჯერ კიდევ სივრცე ბოლომდე არ არის განაწილებული და 2020 წლისთვის დასრულდება.

პარლამენტის წევრმა, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა მილოცვისას ექსპრომტად გააჟღერა ახალი ინიციატივა „საჯარო დღესასწაულის დაწესების შესახებ“ და საზოგადოებას თხოვნით მიმართა, მონაწილეობა მიეღოთ მომავალი ფესტივალის ფორმატზე და ყოველწლიურად ერთად გვეზეიმა „ხობობა“.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სამომავლო სამოქმედო გეგმა ამბიციურია. სამთავრობო პროგრამების ძირითადი მიმართულება ინფრასტრუქტურის განვითარებაა.

მართალია ბევრი მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ უფრო ბევრ ახალ პროექტებს ჩაეყრება საფუძველი და ხობი ერთ-ერთი წარმატებული მუნიციპალიტეტი იქნება რეგიონში.

ნაირა ბერაია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

30 აგვისტოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 1570,4 ათასი ლარით.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს №2 საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“.

საკრებულოში წარმოდგენილიქნა სოფელ საჯიჯაოს №2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სოფლის მკვიდრის არველოდი ნანეიშვილის ინიციატივა, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს №2 საჯარო სკოლისთვის პროფესორის, დიდი მეცნიერის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭების შესახებ.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს ოქმი და საკრებულოს განკარგულება სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

„ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების შესაბამისად ქვემო ქვალონის, ნოჯიხევის და პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდება საგზაო ნიშანი 1.2 „რკინიგზის უშლაგბაუმო გადასასვლელი“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ინფრასტრუქტურის აღდგენა გრძელდება

საჯიჯაო

*ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია, ხოლო საჯიჯაოს №1 და №2 საჯარო სკოლებში სველი წერტილების მშენებლობა მიმდინარეობს

*ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე იქნება ადაპტირებული

*სველი წერტილების მოწყობაზე 71875, ხოლო ამბულატორიის რეაბილიტაციაზე 31264 ლარამდე დაიხარჯება

*ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზუბში შლამისა და ნატანი მასისგან იწმინდება ღელე ოკურჩხალე, ხოლო საშეროზიოს უბანში ხიდბოგირის აღდგენა მიმდინარეობს.

*ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 90629 ლარამდე დაიხარჯება

*პროექტები ხობის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს მთავრობის მიერ სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად გამოყოფილი თანხიდან ფინანსდება.

*სამუშაოზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

ქვემო ქვალონი

*ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენაში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

*სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა ორი მილხიდი.

*სამუშაოზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

*პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 170402 ლარია.

*პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

საჯიჯაოსა და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა გაეცნენ.

შეხვედრები ყულევის, ქარიატის და შუა ხორგის მოსახლეობასთან

ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებზე საუბარი სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებს შეეხო. განსაკუთრებული ყურადღება ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის პროექტებზე გამახვილდა.

ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის, ქარიატის და შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივ მოსახლეობას საქართველოს პარლამენტის წევრები ირაკლი (დაჩი) ბერაია და ბექა ოდიშარია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა შეხვდნენ.

მოსახლეობამ ყულევში მთავარ საჭიროებად ამბულატორიის და ზღვის სანაპირო ზოლთან გზის რეაბილიტაცია, ქარიატაში–ხიდის და საბავშვო ბაღის მშენებლობა, ხოლო შუა ხორგაში–ბაღის კეთილმოწყობა და გაზიფიცირება დაასახელა.

მოსახლეობის მიერ დასმული საკითხების მოგვარებისთვის საჭირო თანხები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტში.

სოფელი

არ არსებობს სოფელი, ქალაქი და რეგიონი, რომელთაც პრობლემები არ ჰქონდეთ. პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული სოფლები ყურადღების მიღმა არ რჩება. პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში და მასში შემავალ სოფლებში ქმედით და დროულ ნაბიჯებს დგამენ.

თუ როგორ მიმდინარეობს ხალხის დაკვეთის შესრულება, რასაკვირველია მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს უშუალო მხარდაჭერითა და დახმარებით, ვესაუბრეთ ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ქალბატონ მარინა ღაგვილავას.

პრობლემის დაძლევა გრძელდება!..

ქალბატონო მარინა, უპირველესად გვესაუბრეთ პირველმაისელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაკეთებულ საქმეებზე.

–პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ამ ბოლო წლების განმავლობაში ბევრი პროექტი განხორციელდა. სახელდობრ სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და ბეტონის საფარი დაიგო ბესიკისა და ლ. გოთუას ქუჩებზე, სადაც მოეწყო მთელი ინფრასტრუქტურა.

შარშან სტიქიის შედეგად ძლიერმა წყალმა წაიღო საჩოკორაიოს და საპერტიოს უბნების დამაკავშირებელი ხიდი, ახლა მიმდინარეობს ამ ხიდის სრული რეაბილიტაცია, რომელიც უმოკლეს დროში დამთავრდება, ასევე სრულად ამოიწმინდა საკობახიოს უბანში არსებული ღელე.

სოფლის მხარდაჭერის პროექტი წელს ისევ გააქტიურდა. მოსახლეობის ჩართულობით განხორციელდა მათთვის საჭირო და აუცილებელი პროექტები. დღის წესრიგში დადგა გაკეთებულიყო საკვიკვინიოსა და დადიანის ქუჩაზე ცხაურები და სასაფლაომდე ასასვლელი გზა.

მეორე პროექტი კი განხორციელდა ორბელიანის ქუჩაზე. იქ გაკეთდა ნაპირსამაგრი და გზაც გაფართოვდა. ღელეც უფრო წყალგამტარი გახდა. მესამე პროექტი ბულიწყუში განხორციელდება. ჩვენთან ამით კიდევ ერთი პრობლემა გადაიჭრება. ასევე სკოლასა და ბაღში გადაწყდება წყლის პრობლემა.

დაძლეულ საქმეებზე ისაუბრეთ. კიდევ რისი მოგვარება დგას დღის წესრიგში?

–სოფლის ამბულატორიას უტარდება რემონტი. ოთხივე ოთახი მწყობრში დგება. ეწყობა სველი წერტილები. გამოიყო ცალკე საპროცედურო ოთახი, რაც სრულად უთავსდება თანამედროვე სტანდარტებს. ახალი დგამ-ავეჯის შეძენაზე ვფიქრობთ, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. მათ წლის ნებისმიერ დროს შეეძლებათ სხვადასხვა სახის პროცედურების მიღება.

სოფლის საჯარო სკოლაში კეთდება სველი წერტილები. განსაკურებით შ.შ. პირებისთვის იქმნება კომფორტი. მათ შესაძლებლობა ექნებათ გაუადვილდეთ გადაადგილება. ეს პროექტები უშუალოდ მუნიციპალიტეტის დახმარებით და განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის მერის პატრონაჟით ხორციელდება, რომელიც

მუდმივად აკვირდება მშენებლობის მიმდინარეობის პროცესებს..

ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე მუნჩიაზე ხუთი ნაპირსამაგრი სამუშაო განხორციელდა. რომ არა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების თანადგომა და თანასოფლელთა პრობლემების გულთან ახლოს მიიტანა, ეს საქმე გაძნელდებოდა.

ჩვენს სოფელში, საკვიკვინიოს უბანში არის წმინდა აია სოფიას ტაძრის ნანგრევები. უკვე არსებობს პროექტი, რითაც მუნიციპალიტეტის დახმარებით მის გადასარჩენად კეთდება გზა. ამ ოთხკილომეტრიანი გზის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაიგება ბეტონის საფარი. გაკეთდება სანიაღვრე არხები. ეს გზა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. ამით შესაძლებელი იქნება ერმა და ბერმა ამ უნიკალურ ტაძარში მოილოცოს.

დღის წესრიგშია გაზიფიცირება, რომელმაც უკვე მოიცვა სოფლის ქუჩები. რას გვეტყვით ამ საინტერესო საქმეზე?

–დადგა დრო ყველაზე დიდი პრობლემის გადაწყვეტის, თუმცა წინა წელს, როცა შედგა გაზიფიცირების პროექტი, 86 ოჯახში (ზედა ზონა) შეყვანილიქნა ბუნებრივი აირი. ახლა ეს პროცესი სოფლის ცენტრალურ ნაწილში ხორციელდება. 510 ოჯახს ექნება გაზი. მადლობა მინდა გადავუხადო კომპანიას, რომელიც სამუშაოებს აწარმოებს.

დარჩენილ მოსახლეობას ვეტყვი, რომ ამ წელს გაკეთდება პროექტი და საკვიკვინიოშიც განხორციელდება გაზის გაყვანის სამუშაოები.

ქალბატონო მარინა, კიდევ რა სიახლის მოლოდინში უნდა იყვნენ პირველმაისელები?

–დიახ! ჩემი სოფლის მოსახლეობა მინდა გავახარო. რამდენი წელია ვართ სასმელი წყლის პროექტის განხორციელების მოლოდინის რეჟიმში. გეტყვით, მომდევნო წლის დასაწყისშივე დაიწყება სოფლის მაგისტრალური წყალსადენით დაქსელვა. ეს იქნება სოფლის საუკეთესო პროექტი, რაშიც უდიდესია მუნიციპალიტეტის მესვეურთა წვლილი.

ინფრასტრუქტურული პროექტები მოქმედებაშია პირველმაისში. მარინა, იქნება დაგრჩათ სათქმელი, ასევე გვიამბეთ რას ფიქრობთ სამომავლოდ?

–თქვენი გაზეთის მეშვეობით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს. სტიქიის შედეგად დაზარალებულ ორ ოჯახს საცხოვრებლის მოსაწყობად ფულადი დახმარება გაეწია. ასევე ერთ სოციალურად დაუცველ ოჯახს სახლის სახურავი და ხის მასალა გამოეყოთ. რაც მათი ოჯახებისთვის უდიდესი დახმარებაა.

პრობლემების გადაწყვეტისას ადმინისტრაციულ ერთეულში მარტო არ ვარ. ჩემს გვერდით ყოველთვის დგანან საკრებულოს დეპუტატი გოჩა ჯობავა და აქტივისტი მერაბ ფილიპია. მადლობა მათ.

შარშან ხობის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელმა პირმა თამუნა სიჭინავამ, რომელიც ასევე არის არასამთავრობო ორგანიზაცია–„ქალები სამართლიანობისთვის“ რაიონული წარმომადგენელი, ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს საჩუქრები გადასცა, მათ შორის პირველმაისელებსაც.

ასევე განათლების და განვითარების ცენტრ „თოლისკურის“ წარმომადგენელმა გვანცა კიკალეიშვილმა დიდი დახმარების ხელი გაუწოდა ჩვენი სოფლის შეჭირვებულ მოსახლეობას.

მადლობა თქვენ, ქალბატონებო, საქმისადმი ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის.

სოფელში უდიდესი ყურადღება ექცევა ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლას. უკვე განთავსდა ფერომონები მთელი სოფლის მასშტაბით. პერიოდულად ხდება ცივი შესხურებით ამ ადგილების დამუშავება. ასევე დამუშავდა საყანე ფართობები. ქუჩების დამუშავება ხდება პერიოდულად თერმული ნისლით, მაგრამ ახლა კვლავ გამოჩნდა ეს მწერი და ცდილობს ოჯახებში შესვლას გამოსაზამთრებლად. ახლა საჭიროა, ყველამ მოვახდინოთ შეწამლული ზეწრების განთავსება ეზოებში, რათა „მოიზიდე და მოკალის“ პრინციპით ეს მწერები ერთმანეთის გვერდში დგომით გავანადგუროთ. ამით პრობლემებსაც მოეღება ბოლო.

ასევე გეტყვით, რომ მაჩხომერის მთაზე მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები. ნაპოვნია მეექვსე საუკუნის ნივთები. არქეოლოგ რევაზ პაპუაშვილი, მკვლევარი გოგიტა ჩიტაია, ასევე იტალიელი არქეოლოგი მეტის მოლოდინში არიან. ყოველი ახალი დღე ახალი ისტორიის საფუძველია. ალბათ უმოკლეს ვადაში შეიცვლება ამ მთის მისასვლელი გზის ინფრასტრუქტურაც.

ვფიქრობ, რომ ჯახუთის უბანში, სადაც მოძრაობს სასკოლო ავტობუსი და ზამთრის პერიოდში რთულია სიარული, მოხრეშვას აზრი არა აქვს (რადგანაც წვიმის დროს გზა ირეცხება), ამიტომაც იქ უნდა დაიგოს ბეტონის საფარი, ასევე ქვედაზონაში ზვიად და კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქუჩების კეთილმოწყობა ჩვენი უპირველესი მიზანია. ეს ყველაფერი მუნიციპალიტეტის გვერდში დგომით გაკეთდება.

მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც კი დახმარების ხელი გამოგვიწოდა სოფლის კეთილდღეობისთვის.

ვფიქრობ, ჩვენთან ბევრი რამ გაკეთდა, კეთდება და გაკეთდება.

მადლობა ინტერვიუსთვის.

ესაუბრა ნანი კილასონია.

ახალი სასწავლო წელი სკოლამდელ დაწესებულებებში 16 სექტემბრის განახლდება

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში“ შემავალი 25 სტრუქტურული ერთეული ახალი 2019-2020 სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყებად ემზადება. ჩარიცხულია 1140 აღსაზრდელი, დაკომპლექტებულია 55 ასაკობრივი ჯგუფი. ყველა ბავშვი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია და აქვს შესაბამისი ასაკი, ჩარიცხულია.

სკოლამდელ განათლებას პრიორიტეტულ სფეროდ მიიჩნევს ადგილობრივი მთავრობა. მათი მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით რამდენიმე პროექტი განხორციელდა სკოლამდელ საალმზრდელო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისით.

ახალი სასწავლო წლიდან ბიის და ზემო ქვალონის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სრულად რეაბილიტირებული ბაღი ექნებათ. პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გარემონტდა პატარა ფოთის, თორსის, ხამისკურის, ძველი ხიბულის, ნოჯიხევის №1 და ნოჯიხევის №2 საბავშვო ბაღები, ხოლო ახალსოფლის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ამ სამუშაოების ჩატარებით საბავშვო ბაღებში მოწესრიგდა სველი წერტილები, სამზარეულოები, პროდუქტების შესანახი ოთახები, ეზოები. დაგეგმილია ნაწილობრივ გარემონტებული ბაღების სრული (ჯგუფის ოთახებისა და საძინებლების რემონტი), ხოლო გურიფულის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი და ნოჯიხევის 2 საბავშვო ბაღში სველი წერტილის რეაბილიტაცია.

სოფელ ძველ ხიბულაში ფონდმა „ქართუმ“, 60 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო. ამჟამად საბავშვო ბაღი, ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული. მალე ისინი თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ შენობაში გადაინაცვლებენ.

საბავშვო ბაღებში პროექტი „ეზოს სივრცითი მოწყობა“ ხორციელდება. სექტემბერში ჩვენს პატარებს უსაფრთხო, მხატვრული, შემეცნებითი, სპორტული გარემო დახვდებათ.

გაერთიანება მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე.

4 სექტემბერს, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებისთვის სურსათის ჰიგიენის საკითხებზე

ტრენინგი ჩატარდა, სადაც განიხილეს სურსათის ეტიკეტირების, შრომის უსაფრთხოების, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების საკითხები.

სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ექვსმა მეთოდისტმა წარმატებით გაიარა აღმზრდელ-პედაგოგთა განვითარების ტრენინგ-მოდული. რომლებიც აქტიურად არიან სხვა აღმზრდელ-მასწავლებლების გადამზადებაში ჩართულები. ისინი 9-13 სექტემბერს აღმზრდელ-მასწავლებლებთან, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ტრენინგ-სემინარებს ჩაატარებენ.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისთვის საქართველოს მასშტაბით „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების“ სახელმძღვანელოს დანერგვას აგრძელებს. სახელმძღვანელოს დასანერგად ჩვენი მუნიციპალიტეტის აღმზრდელ-პედაგოგები და მეთოდისტები 11 სექტემბერს გადამზადდებიან.

ახალი სასწავლო წლისთვის, სკოლამდელმა სააღმზრდელო გაერთიანებამ, ბაღებისთვის შეიძინა ქსოვილის ნივთები (7 890 ლარი), ავეჯის აქსესუარები (3 749 ლარი), კონდიციონერები (4 950 ლარი), სამეურნეო (3 300 ლარი) და საკანცელარიო (3 500 ლარი) საქონელი. დაგეგმილია ავეჯის (სამზარეულო გარნიტური, საბავშვო მაგიდები, სკამები...) და საოჯახო ტექნიკის (მაცივრები, გაზქურები, ღუმელები, გამწოვი ვენტილატორები) შეძენა.

ახალი სასწავლო წლისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იდეები გვაქვს. ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო სასწავლო წელი უფრო ნაყოფიერი იქნება გაერთიანებისთვის, საბავშვო ბაღების წინაშე მდგარი პრობლემები ადგილობრივი თვითმართველობის სრული მხარდაჭერითა და თანადგომით კვლავ წარმატებულად იქნება დაძლეული.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ახალი სასწავლო წელი მივულოცო თითოეულ აღსაზრდელს, მშობელს, საბავშვო ბაღის თანამშრომელს და ვუსურვო ნაყოფიერი და წარმატებული წელი.

ეკა ხასია,
ა(ა)იპ. ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი.

ტრენინგი საბავშვო ბაღების თანამშრომლებისთვის

ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისთვის სურსათის ჰიგიენის საკითხებზე ტრენინგი ჩატარდა, რომელსაც შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი თეა მაღედანი და სურსათის უვნებლობის საკითხებში ექსპერტი ელენე გიორგაძე უძღვებოდნენ.

ტრენინგზე განიხილეს სურსათის ეტიკეტირების, შრომის უსაფრთხოების, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების საკითხები.

ტრენინგს „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი ეკა ხასია და დირექტორის მოადგილე ნონა შამათავა ესწრებოდნენ.

ერთიანი მუნიციპალური ელექტრონული სერვისების დანერგვა

საქართველოს მასშტაბით მოქალაქეებისთვის სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით ერთიანი სტანდარტით ელექტრონული სერვისების დანერგვისა და განვითარების პროექტი იწყება ერთიანი მუნიციპალური ელექტრონული სერვისების დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში გაიმართა.

პირველ სამუშაო შეხვედრაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ მზია გიორგობიანმა.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულებთან და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ზვიად ბუკია ესწრებოდნენ

ერთიანი მუნიციპალური ელექტრონული სერვისების პროექტის ფარგლებში შეიქმნება ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, რომელიც სამ ძირითად სისტემას გააერთიანებს: ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების, განცხადებების მართვისა და გეოსივრცითი მონაცემების მართვის სისტემას.

ხეთაში სკვერი მოეწყო

*ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ წინაგოლაში სკვერის კეთილმოწყობა დასრულდა.

*პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელდა.

* სკვერის კეთილმოწყობაზე 15327 ლარამდე დაიხარჯა

* დასრულებული პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ დაათვალიერა.

*„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2019 წელს, ხობის მუნიციპალიტეტის 21 ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის მიერ შერჩეული, 784 ათასი ლარის ღირებულების 63 პროექტი განხორციელდება.

გვახსოვდეს აფხაზეთი

ხათუნა გელაშვილი–წლების წინ რედაქციის ხშირი სტუმარი გახლდათ, ლამაზი ნაკვთებით, ლამაზთვალება, ჩუმი, მაგრამ სასიამოვნოდ მოსაუბრე. იგი კომპიუტერის სპეციალისტთან ჯულიეტა ლატარიასთან შეგობრობდა და გაზეთის მორიგ ნომერზე მუშაობისას მასთან ურთიერთობით სიამოვნება ხშირად მიმიღია.

ლტოლვილი (მეჯავრება ეს სიტყვა) იყო მისი საფიცარი აფხაზეთიდან, ბესლახუბადან. ხობში ე.წ. კოლხეთის ბინებს შეხიზნული ოჯახთან ერთად...

შემდეგ სტუდენტობის წლები დადგა, პროფესიად იურისტობა აირჩია... გაიშვიათდა ჩვენთან სტუმრობაც... ჩემი პირადი არქივის სურათებმა მისი მონატრებული სახე ამომიტივტივა... მეგობარმა კი მისი უპრეტენზიო ლიტერატურული შემოქმედება გაიხსენა და დანანებით თქვა–წლებმა აფხაზეთის ტკივილი ვერ გაუნელა, მისი ნაწერებიდან სევდიანი მოგონებები იღვრებაო. როცა მის მოთხრობებს, ლექსებს, ჩანაწერებს თვალი გადავავლე, უფრო მომეძალა მისი მონატრება, მით უფრო, გვიახლოვდება აფხაზეთის დაცემის ავადმოსაგონარი დღე...

მომინდა მისი მოთხრობის ერთი მონაკვეთი თქვენთვისაც გამეცნო ძვირფასო მკითხველო, რათა ერთად გვეთქვა: „აფხაზეთი არც ისე შორია“, ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით, სიყვარული ხომ ყოვლისშემძლეა...

მერი ლაგვილავა.

ავკარგიანი ნუთისოფელი...

...ტყვიებმა ერთმანეთის მიყოლებით იწყეს მიზანმიმართული სწრაფვა... არავის დაუთვლია რამდენმა ტყვიამ იფეთქა, არც არავის შეუცხადებია რატომ...

–დედი,–აღმოხდა მასპინძელს და ჩაიკეცა. მომხვდურებმა უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს, მათ გამოხედვაში არანაირი აზრი, თუ გრძნობა არ იკითხებოდა, გაყინული, ცივი მზერის იქით ძნელი იყო რაიმე შეგენიშნა. თითქოს ბოროტებამ ავსულები ადამიანის ნიღბით შემოსა და დედამიწაზე მათ საწამებლად მოავლინა, ეს იყო და ეს.

ათასი ლამაზი ოცნებისა და ბედნიერი მომავლის მქონე ახალგაზრდას, რომელსაც რეალობა ნატვრაახდენილ სიამედ ქცეოდა,–წამში შთაუნთქეს უფლისგან ბოძებული სიცოცხლე და სისხლის გუბეში მოცახცახე, გაწამებულ სხეულს სული ხროტინით დაეშვიდობა.

აქაოდა ვითომაც არაფერი მომხდარაო, მომხდურები ჩვეული, აუჩქარებელი ტემპით ეზიდებოდნენ ტომრებში თავმოყრილ ნადავლს. მათი სიხარბე ჩანთებში მოგროვილმა ნივთებმა ვერ დააკმაყოფილეს და ოციოდ წუთში სახლის წინ სატვირთო მანქანა იდგა, რომელშიც ოჯახში არსებული საუკეთესო ავეჯი იტვირთებოდა... მალე უწმაწური სიტყვების კორიანტელი, ნივთების გადატანით გამოწვეული ხმაური დიდი სიჩქარით მოძრავმა მანქანის სიგნალის ხმამ ჩაანაცვლა და ირგვლივ შემზარავმა სიჩუმემ დაისადგურა.

დრო ტლანქად მიიზლაზნებოდა. ოთახში ფარდის უკან, უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი კარი ჭრიალით გაიღო, ცოტაც და გოგონას პატარა ფეხებიც გამოჩნდა. სახეგაფითრებული, ხუჭუჭთმიანი გოგოს შეშინებული თვალები აქეთ-იქით აცეცებდნენ ნაფეთარ მზერას, დარწმუნებული მარტოობაში, სამალავიდან ხანოვანი ქალის თავდაჯერებული ნაბიჯით გამოვიდა და ღია კარისკენ გაემართა. ათი წლის და, თვალებგაფაციცებული, გახშირებული მაჯისცემით, აცახცახებული მიუახლოვდა ძმის უსულო სხეულს. მუხლებზე დაეცა, ჩაჩოქილმა უხმოდ ჩაიკრა გულში უზომოდ თბილი და მის სამყაროში ყველაზე საყვარელი ადამიანი, რამდენიმე საათი გასტანა გოგოს მდუმარე ყოფამ, შემდეგ თვალწინ თანდათანობით შეჯგუფდნენ წყლის პაწაწინა ნაწილაკები, ერთმანეთში ქაოსურად აირივნენ, გაბრწყინდნენ და ვაი, უბედურებავ, მშფოთვარევ და დაუდგომელო, დინებავ ძლიერად ამოხეთქილო, ანთებულ ცრემლადდადინებულო და დადარდიანებულო...

განწირული კივილის ხმა ბებერ კავკასიონს მისდაუნებურად ედებოდა გაუსაძლის ვარამად. ისედაც შევერცხლილ ხნოვანს, ჭაღარა უფრო უხშირდებოდა, ტკივილი უმრავლდებოდა და ამ უბედური ყოფის დასაფარავად ღრუბელს უხმობდა, რათა ბურუსის ნიღაბში ჩაკარგულიყო და გამქრალიყო. საუკუნოვანი სიზვიადე კატეგორიულად უკრძალავდა, არ ანებებდა, რომ მოკვდავნი მისი ცრემლების მხილველები გამხდარიყვნენ... და იყო მოცული ბნელით დედამიწა. იყო ტირილი, გლოვა-გოდება...

ეს იყო 1992 წელი. ჟამი ავბედითი საქართველოს ისტორიისა აფხაზეთის მიწა-წყალზე.

...დღეს მზიანი დღეა, ნათელი და კაშკაშა. დროა სიყვარულისა და სილამაზის, დროა სუფთა ყოფის.

ქალმა ხელის ცახცახით გაისწორა წლების წინათ თავსმოხვეული შავი სატინის თავსაფარი, ხელი მძიმედ დაეშვა ძირს, ცოტა ხანი ასე იდგა წარბშეკრული, შემდეგ მოეშვა და იქვე საწოლის გვერდით მდგარ ხის სკამს დაეყრდნო. თვალი კედელზე მიმაგრებული სარკისკენ გაეპარა, რა დრო გავიდა, წაბლისფერ თმას ვერცხლისფერი დაუფლებოდა, სახეზე ელასტიურ კანს ბევრგან დასტყობოდა უკიდეგანო ნაპრალები და უკითხავ ნაოჭებად დაქსაქსულიყო, სიცოცხლით სავსე ვარდისფერს რკინისფერი ჩანაცვლებოდა.

–უნდა გავიღიმო, შენი დისთვის უნდა გავიღიმო შვილო, მიუბრუნდა იქვე შავ ჩარჩოში ჩასმულ დაღუპული ვაჟის სურათს–ცოდოა მომტირალი დედის შემყურე, იტანჯება. უფლის საჩუქარია მისი სიცოცხლე, მან გადამატანინა ტკივილი. არადა, როგორი ქალი დადგა, ლამაზი, ჭკვიანი, შენ რომ გაგიხარდებოდა...

ფიქრები ღრმა განცდის საუფლოში ჩაკარგულიყვნენ, ნებივრობით გალაღებულიყვნენ და სახისთვის ღიმილი მოეფინათ. დედა მონატრებულ შვილს ეფერებოდა, არცთუ შორეულ წარსულს დასესხებოდა და მწარე რეალობას მალამოდ უცხებდა ნებიერა შვილის ბედნიერ მოგონებებს.

რა უმალ გაირბინეს სიამის წლებმა დაბადებიდან ავბედით დღემდე... მას თვალთაგან შეუბრალებლად დასდინდა ცრემლთა უწყვეტი ნაკადი, ასე ხშირი და თავხედურად გათამამებული იმიერი ყოფისა საქაოში.

ოთახში ნაბიჯების ხმა გაისმა. თანდათან მოახლოვდა, გამძაფრდა და...

–აი, დედი, სად ყოფილხარ, წამოდი გეძახიან, სამძიმარზე წავიდეთ,–კართან მარიამი იდგა და მშობელს სიყვარულის თვალით უმზერდა.

–მოვდივარ შვილო, რა უბედურება შემთხვევიათ მაგ საცოდავებს. ახალგაზრდა ყოფილა... ვერ გაიგეს ხომ როგორ დაღუპულა?! თავაუწევლად იკითხა ქალმა. გოგომ უხმოდ აიჩეჩა მხრები ურყოფის ნიშნად... ჩვენთან უბრძოლია თურმე... ჩაილაპარაკა შაოსანმა, სარკეს თვალი მოავლო, მარიამმა თავსაფარი გაუსწორა, ლოყაზე ეამბორა და დედა-შვილმა უხმოდ გაიხურეს კარი.

სამეზობლოში ახალმოყვანილ რძალს, ბიძაშვილის დაკრძალვაზე მისდა პატივსაცმად, სამგლოვიარო ჩაცმულობითა და დიდი თაიგულით მთელი სამეზობლო მიაცილებდა.

ეზო სავსე იყო დადარდიანებული ადამიანებით.

მიცვალებული სახლში ესვენათ, სახლი კი უჩვეულოდ დიდი და მიმზიდველი იყო უცხო ადამიანებისთვის, ჯერ შესასვლელი... მარმარილოს სვეტები... კედლებზე განთავსებული ათასგვარი საინტერესო ნივთები... გეგონებოდა სამუზეუმო ექპონანტები იყო გამოფენილი სადმე კულტურის სახლში და ცნობისმოყვარე ხალხი გაოცებული შესცქეროდა ამ საოცარ გარემოს.

მისულები შეაყოვნეს, გთხოვთ მოიცადოთ, წინ გადაუდგა ჭაღარაშემოსილი ხნოვანი. ხალხის ნაკადი ერთმანეთს აწყდებოდა და ოთახში შესვლას შეუძლებელს ხდიდა. წინ ახალგაზრდები იდგნენ, მარიამიც მათ შორის იყო. მას ყვავილები ეკავა, ქალები კი უკან მწკრივად მოუყვებონდნენ სამგლოვიარო პროცესიას.

...მათი შემოსვლის ჯერიც დადგა. რამდენიმე ნაბიჯი და უეცრად მარიამი გაშეშდა. იგი იდგა და კედელს თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა. ყველა შეჩერდა, ყვავილები უკითხავად დაესვენა იატაკზე. გოგო მიცვალებულზე დაფენილ სურათებს მივარდა და გაფაციცებით დაუწყო თვალიერება. ეტყობოდა ღრმა, ძალიან ღრმა შორეთისკენ იყო მისი მზერა მიმართული.

ტირილი შეწყდა. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ მარიამი აცეცებდა აქეთ-იქეთ თვალებს. დედა ვერ მიმხვდარიყო მისი მშვიდი და გაწონასწორებული ქალიშვილის რადიკალურ ცვლილებას. გოგომ, რომელმაც კარგად გადაათვალიერა არსებული სურათები, გაფითრებული შემობრუნდა, ამ წამს მას სიდიადე შემატოდა, თითქოსდა წლებიც მოემატაო, მეტი თავდაჯერებული და გაფოლადებული იდგა. და იყო კიდევ ერთი–ქალიშვილს სიცოცხლის ფერები ენით აუხსნელი შეფერილობით შეცვლოდა...

იგი ვერავის ხედავდა, დედას შეჰყურებდა მხოლოდ. ფიქრებში რაღაცას ეჭიდებოდა, რაღაცას ებრძოდა, მაგრამ მოთმინებამაც იელვა და უსაზღვრო სიმამაცით ამოხეთქა დაგუბებულმა:

–ეს იყო... დედი... ეს... ეს–აცახცახებული ხელით ანიშნა მიცვალებულისკენ, ნახეთ ჩვენი საათი...

ამ დროს მაღალი აღნაგობის ქალბატონი გამოეყო გაოგნებულ ჭირისუფლებს–გაიყვანეთ ეს გიჟი აქედან–გამოცრა მან.

–დედამ ტკივილით აამოძრავა ქვაოქცეული სხეული და სწრაფად დადგა შვილის გვერდით.

–შენ შვილო, –მიუბრუნდა იქვე ცნობისმოყვარე თვალებით მომზირალ თუთხმეტიოდე წლის ბიჭს–ეგ საათი ჩამოხსენი. ბიჭმაც თხოვნა, რომელიც ბრძანებას უფრო ჰგავდა, უხმოდ შეასრულა და შაოსანს გაუწოდა ძველებური ხის საათი. ქალმა ხელის კანკალით გამოართვა ბაბუის საყვარელი ნივთი, რომელშიც მისმა გარდაცვლილმა ვაჟმა სამალავი ჩაამონტაჟა. გოგომ უმალ გადმოაბრუნა, ჩაიმუხლა, ჩანთაში მოიძია პატარა მაკრატელი და ოთხივე ჭანჭიკი უმალ ამოაძრო. აქ არის დე–ამოიღრიალა და ყველას დასანახად ნაჭერში გახვეული საგვარეულო სამკაულები გადმოალაგა.

დედამ წამიერად შეავლო შვილის ხელებს თვალი. ნაბიჯი გადადგა და ამაყად დახედა მიცვალებულს. მაშ შენ ხარ მკვლელი!!! ჩაილაპარაკა შვილმკვდარმა ქალმა, ჭირისუფლებს თანაგრძნობით გადახედა და ცივად შემობრუნდა.

–წავიდეთ შვილო, საკმარისია, დაჩოქილი მარიამი წამოაყენა და უხმოდ გაემართნენ გასასვლელისკენ.

დედა–შვილს თანმხლები მეზობლებიც მიჰყვნენ. ეზოში ჩოჩქოლი გაისმა, უკან არავინ იყურებოდა, თუმცა ვინმეს რომ მოეხედა, დაინახავდა, რომ ამ უამრავი დადარდიანებული და სევდიანი ადამიანებისგან გადაჭედილ ეზოში აღარავინ დარჩენილიყო. ყოველი მათგანი შავებში ჩაცმულ ქალბატონს აცილებდა.

ქალმა ნაბიჯი შეანელა, ყველა შეჩერდა, უსიტყვოდ მოიხსნა თავზე შემოხვეული შავი... თმა შეისწორა, გვერდით მდგარ შვილს გახედა და მის ირგვლივ მიმავალ ადამიანებს პატივისცემის ნიშნად დაუკრა თავი. ხალხისგანაც იგივე მიიღო.

ამინდი აირია, ცას ბინდი მოედო. უკვე ცრის კიდეც. ყველამ ფეხს აუჩქარა, იქვე გაჩერებულ მანქანებში ჩასხდნენ და იქაურობას გაეცალნენ.

წვიმაც დაიწყო...

ხათუნა გელაშვილი.

ვაჟა ეგრისელი–78

თქვენთან ერთად დიდი პატივისცემით და სიყვარულით მივესალმები კოლხეთის შუაგულში, აიეტისა და მედეას სამშობლოში, ცოტნე დადიანის საუფლოში, ხობის რაიონის ვრცელ და ისტორიულ სოფელ ხორგაში დაბადებულ ვაჟა ეგრისელს, პოეტს, აკადემიკოსს, დიდ მამულიშვილს. რომელსაც ფსევდონიმიც შესაბამისი აქვს, თუმცა იბერიული უფრო მოუხდებოდა–ეგრისიც იქ არის, ქართლიცა და კახეთიც, და რა თქმა უნდა, აფხაზეთიც–აბორიგენი, ძველი აფხაზებით (მეგრელებით).

სხვათა შორის, ამ ლამაზი, ოდაბადედან ბრძანდებოდნენ აკადემიკოსი დავით მირცხულავა, საქართველოს ცეკ-ს ყოფილი პირველი მდივანი ალიოშა მირცხულავა, პროფესორი კახა მირცხულავა (შვილი) და მთავარი, ბატონი ვაჟას ალალი ბიძა, პოეტი-აკადემიკოსი ალიო მირცხულავა. არ გამომრჩეს, ხორგელი გახლდათ მაცი ხვიტიას უსპეტაკესი და უმშვენიერესი სიყვარული, ეკა და სხვანი „ჩინიანი და უჩინონი“. საზოგადო და საერო მოღვაწეები–უბრალო, პატიოსანი, ერთგული, სამშობლოს მოსიყვარულე ადამიანები. დიახ, ასეთ ოდაბადეში იზრდებოდა ბატონი ვაჟა ეგრისელი, ნიჭიერთა და ლამაზმანთა სამყაროში.

და ასეთ ოდაბადეს, „აიეტის ზღრაპრულ კოლხეთს, შურისა და მტრობის გველეშაპი შესევია“. იმიტომ, რომ მათ იციან, კოლხეთით, „აქ იწყება საქართველოს ისტორია“... მეგრელოფობებს, ვაი ქართველებს ურჩევნიათ სომხური–ჰაოსის სივრციდან წარმომავლები, მასროპისა და ნროიველის შთამომავალნი იყვნენ, რომელიც „მძორიჭამიადაც“ კი გვნათლავს და არა კოლხ-იბერელის და საერთოდ „ქალდეველების“, სინამდვილეში ქალდები იყვნენ ლაზ-მეგრელები, რაც უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთ აკვნად ითვლება და კიდევ „ქალდეა“ ძირითადად შედგებოდა მეგრულენოვანი ხალხებისგან“. (აკად. ვ. ვახანია). დედამიწაზე წარმოშობილი წარღვნამდელი ხუთი სახელმწიფო–ქალაქი ერედუ, ბადითბარა, სიფარი, ლარიქადა, შულუბანი, ყველა მათგანი წარმოშობილია ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ლაზ-მეგრელებისგან“ (ბადასოფია).

„მინდა ქვეყანას გავაგებინო, კოლხ-მეგრელთა ენა პირველი არის... ბუნების მილიარდ ოთხას მილიონ, ასორმოცდახუთი ათას, ორასოთხმოცდაექვსი სიტყვის ლექსიკონით“ (მამანტი ძაძამია).

„ამას ზოგიერთი ჩვენი ძმები დიალექტად ნათლავენ, და ამიტომ ჩვენ ქართველებს ათასწლეულობით ისტორიას გვპარავენ“ და იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც ზიან და ამ დროს „ზოგიერთი ჩვენი მოკეთე ორგულობს, რა ვქნა რით გიშველო კოლხეთო წარსულმოკლულო“ (ვაჟა ეგრისელი).

პოეტმა შესანიშნავად იცის, რომ მარტო წუხილი და დარდი „ვერაფერი დიდი შეღავათია“, ამიტომაც გამოსავალს გმირული წარსულის ფესვებში ეძებს: „შორეული წარსულიდან ბრძოლის და ყიჟინის ხმა მოისმის, ძველი კოლხის ზღვაოსნის და მოისრის“. დიახ ბრძოლა, შრომა, განათლება, მოყვასის სიყვარული გადაარჩენს კოლხ-იბერებს-ქართველებს და მათ შორის, უპირველესად ქალ-ვაჟის სიყვარული.

„პიტალო კლდეს გახეთქავდა.
მათი ოხვრა და ცემა გულების
შიშველნი იყვნენ, და რა
ჰქონდათ დასამალავი,
ერთმანეთს იყვნენ ჩაკირულები
სანამ განთიადს მოიყვანდა
ცაში მამალი“–
შედეგად უფლის განგებით
ქალ-ვაჟთა ნებით
„გავმრავლდებით, 13 მილიონი
კი არა
33 მილიონი ვიქნებით“. ამინ!
და „იარონ, იარონ, იარონ

(მ. მაჭავარიანი)

„ზამთარ-ზაფხულ, ყველგან და
მუდმივად,
ქართული ზეცა ჰხურავდეთ
თავზე ნამუსის ქუდად“.

(ვაჟა ეგრისელი)

მცირედით მაინც რომ გავიცნობიეროთ ვაჟა ეგრისელის პოეზიის პატრიოტული, ისტორიული სიღრმე, გთავაზობთ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ-აკადემიკოს ბატონ კლიმენტი შელიას სიტყვებს:

„ვაჟა ეგრისელი არა მარტო თანამედროვეობის დიდი პოეტია... მისი პოეზია ქართული უკვდავი გენიის ახლებური გამოვლინებაა, სადაც ლექსადაა გადმოცემული დასაბამიდან დღემდე განვლილი საქართველოს (კოლხეთის) ისტორიული, თუ პრეისტორიული პერიოდი... ამ პოეტურ აღწერაში არ არის გამორჩენილი მსოფლიოს არც ერთი ღირსახსოვარი პროცესი და მოვლენა, მითი და სინამდვილე, რომ პოეტს თავის ქმნილებაში არ გაეცოცხლებინოს და პოეტური სული არ ჩაედგას: უძველესი კოლხეთი, ეგვიპტე, ბაბილონი, შუამდინარეთი, სპარსეთი, შუმერი, ხეთა, მიდია, ურარტუ, რომი, ქანანი, მითანი“ და ეგრისელის შემოქმედება „უმაღლეს მწვერვალამდის აყვანილი ჯერაც შეუცნობი მეცნიერული პოეზიაა“.

ჭეშმარიტად! ასევე მინდა შევუერთდე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ბატონ ოთარ მიქიაშვილის გამონათქვამს: „ვაჟა ეგრისელი, რომელმაც რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის და გალაკტიონის გენიათი შექმნილი წალკოტი საკუთარი ნიჭით გამოყვანილი თვალხატულა იებით, ყოჩივარდებით და საპოვნელებით დაამშვენა და რომელმაც თავის ტევად ლირიკაში, როგორც მშობელი ერის, ისე კაცობრიობის არსებით ყველა ძირითად სატკივარსა და საზრუნავს უპოვა ადგილი–დიდი პოეტია“. „იქმენ ნათელის“ და „კოლხური ფსალმუნების“ ათტომეულების ავტორი, როგორც ლიტერატორი, პროფესორი ბატონი ბექა ქანთარია ლაკონურად ჭრის: „ბევრი ავტორი მას საყოველთაოდ ცნობილი ეპითეტებით ამკობს, თუმცა რას მიქვიან თვალსაჩინო, კარგი, დიდი, არაჩვეულებრივი, სანიმუშო... არა ბატონებო! ვაჟა ეგრისელი გენიალური პოეტია“. ჰო და აგაშენათ ღმერთმა! ჩვენც მანდ ვართ! ბატონ ვაჟას მიწიერ და ზეციურ პოეზიას ნაწილობრივ მაინც ვინც იცნობს, ამ აზრისა იქნება...

ნაღდია–სურომხვეულ წიფელზე ჩამოიძინა, მაგრამ უეცრად ესმა ძილში თოფის ძახილი, შეკრთა... თვალები ერთი წამით კვლავ გაახილა, რათა იმწამსვე დაეხუჭა სამარადისოდ“... და ასე, პოეტური ზეშთაგონება: შედარებები, ალეგორიები, უბადლო მეტაფორები. სიბრძნის და სიყვარულის მარგალიტების ცვენა უსასრულოდ.

ვაჟა ეგრისელი თანამედროვე ქართული ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსის, ზემოთ ნახსენები ბუმბერაზების არეალში მოიაზრება, ისიც ვთქვათ, რომ არც ერთ მათგანს არ ჰგავს ის, ვაჟა ეგრისელი უაღრესად თვითნაბადი, ორიგინალური, მკაცრად ინდივიდუალური ხელწერის-ლექსთაწყობის, მასშტაბური ჰორიზონტის შემოქმედია და ის „გაღმა“ დარჩა–მას რუსთაველის სახელობის პრემია არ მიანიჭეს... გენია „განზე“ დატოვეს. ამიტომ, ჩვენი ხედვით, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ღირებულება გააუფასურეს. საერთოდ, შემოქმედი წახალისების ნაცვლად „ჩაწიხლეს“, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ბატონ ვაჟასთვის ნაყოფიერი შრომა გაეგრძელებინა: „კოლხეთის ფსალმუნების“ ხუთტომეულს უკვე მიემატა დასტა „ფსალმუნები“. გრძელდება „წვა და დაგვა“, საბედნიეროდ. ვაჟა ეგრისელი ეროვნული ჰიმნის „შავლეგოს“ ავტორია და როგორც ბატონი სოსო სიგუა, პროფესორი, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბრძანებს: „ვაჟა ეგრისელს, რომ სხვა არაფერი დაეწერა, ქართულ პოეზიას უცილობლად შემორჩებოდა „შავლეგოთი“.

„საქართველოს სიყვარულში
ვერ გაჯობა ვერავინ, შავლეგ
ბიჭო!
დაჭიხვინებ, მხედარს უხმობს
მერანი, როგორც ზღაპრად
ანდა როგორც არაკად, შენს
სამშობლოს შეეწირე
ზვარაკად“

და კიდევ:

„რა წარღვნა! რისი მიწისძვრა ეს კოლხეთის (საქართველოს) სულია, რომ ვერ ეტევა ქვესკნელ-ზესკნელში, რომ არყევს სამყაროს, სივრცე არ ჰყოფნის, რომ ალბატროსივით ფრთები გაშალოს! ჩვენ, ვაჟა ეგრისელის ტალანტის პატივისმცემელებს ეჭვი არ გვეპარება „კეისარს კეისრისა მიეზღვება!..

„ქართული პოეზიის რაინდის“, საქართველოს კულტურის დესპანის“ რეგალიების მეტად საპატიო და ძვირფასი დიდი გალაკტიონის, ასევე, დიდი ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატობა, ის საფეხურები მგონია, რაც ვაჟა ეგრისელს სრულიად დამსახურებულად მოუტანს „საქართველოს სახალხო პოეტის“ წოდებას.

მკითხველს უნდა ვამცნო, რომ ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ ვაჟა ეგრისელის სახელობის ვარსკვლავის გახსნას, დროში „იწელება“ სამწუხაროდ, ხობელები თავისი სასიქადულო მამულიშვილის, ვაჟა ეგრისელის სახელობის ვარსკვლავის გახსნას აჭიანურებენ... ვაჟა ეგრისელი „კოლხური ფსალმუნებით“ პოეზიის გვირგვინოსანი მეფეა“, ავასრულოთ ხობელების, აკადემიის წევრების და ხალხის თხოვნა-მოთხოვნა: ეს თაობებს სჭირდება და არა ვაჟა ეგრისელს, და თავშიც და ბოლოშიც „მუდმივად“ ვაჟა ეგრისელი ერთიანი საქართველოსთვის დაუღალავი, უდრეკი მებრძოლია: „ვამბობ კოლხეთს, ვგულისხმობ საქართველოს“ და პირიქით. ღმერთმა ინებოს ეხილოს გაერთიანებული საქართველო-ერეთი-საინგილო-კამბეჩოვანით–ლორე-ალავერდით-ლაზეთით-აფხაზეთით-სამაჩაბლოთი-ნიკოფსია-სოჭამდე. ერთიან ლაშქარში ჩამდგარი...

სიყვარულით,
ალეკო თოდუა,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი. მწერალთა, მეცნიერებათა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ ვიცე პრეზიდენტი, „საპატიო ქალდეველი“ და მამანტი ძაძამიას სახელობის მეცნიერებათა აკადემია „აიას“ ვიცე პრეზიდენტი, კავშირი „ჯვარის“ საზოგადოების ანალიტიკური აკადემიის პრეზიდენტი.

***P.S.** როგორი თავდაჯერებულობა, ღრმა რწმენა უნდა ჰქონოდა 17-18 წლის ჭაბუკ პოეტს, რომ ჭეშმარიტად განეჭვრიტა და ეწინასწარმეტყველა თვალუწვდენი თავისი მომავალი.*

„მე შენს ნაკვალევს გამოვყევ,
ვით მართვე დედა შევარდენს!
და ხელებს ვუწვდი ვარსკვლავებს,
ვწყევლი მახვილს და ჯევარდენს!
ჰოი, რა მაღლა ასულხარ,
როდის მოვაღწევ შენამდე...
და მომავალიც გაბრწყინდა
დღეს გიხმობს გალაკტიონი,
გელის, გეძახის მთაწმინდა.“

(„მისალმება“ პოეტ-ბიძა ალიო მაშაშვილისადმი)

ვიტყვით: „მიაღწია“, ბევრად ზევით ავიდა: „ის ურჩევნია მამულსა...“

„მთაწმინდამდე“ კი ძალიან შორია, ისედაც უკვდავი ხარ!

ა.თ.

კვირაძალს წასაკითხი

ხობი მისი ქალაქია, მისი „ოდაბადე“, სადაც დაიბადა და გაიზარდა... სადაც მისი პირველი ლექსი იშვა „პაპანწყვირეს“ მკერდიდან, მისი ხეთის სანახებით და სიყვარულით გაჟღენთილი...

დედიდან გამოჰყვა პოეზიის, ხელოვნების ნიჭი... წერს ლექსებს, სონეტებს, რომელებიც პერიოდულად იბეჭდება თანამედროვე ქართული პოეზიის კრებულში (რედაქტორი დავით ახლოური) სახელწოდებით „მზის არილი“, „ლიტერატურული სიახლეები“– ბათუმის გამომცემლობაში–„ინგას უბანი“ (რედაქტორი ინგა გოგიბერიძე)) ჟურნალ „ჭოროხში“. „ლექსის აკვანი“ (რედაქტორი გერმანე საზანოველი) თბილისის გამომცემლობა, როგორც თავად ამბობს „...ეს ჩემი სიცოცხლის თანმდევი სიხარული და ბედნიერებაა, რამეთუ ჩემი ოცნებების სრულ რეალიზებას სწორედ ამ ლექსებითა და სონეტებით ვახდენ...“

მას სულ ახლახან 60 წელი შეუსრულდა. „ხობის მოამბე“ ულოცავს ამ იუბილეს.

ქალბატონი ნონა ლატარია დღეს ჩვენი სტუმარია.

„გეფერებით, მიყვარხართ ხობელებო, სამეგრელო! მალე ისევ ბათუმს დავუბრუნდები, ჩემს მეორე ქალაქს, სადაც ოჯახი, შვილები და შვილიშვილები მელოდება. თან გამყვება ჩემი სამეგრელოს სურნელება და სიყვარული“ ასე დაგვემშვიდობა ქალბატონი ნონა.

ჩვენ ერთხელ კიდევ მივულოცეთ იუბილიე და რამდენიმე ლექსის და სონეტის დაბეჭდვას შევპირდით...

სონეტი 152

მზის დაბადება ნიშნავს ჩემთვის
სიცოცხლეს, ახალს.
(ცვრიან თითებით ვეფერები
ყვავილებს მინდვრად)
ფრთებს შერჩენილი სიყვარული
მეგზურად მახლავს,
თვით ამ მზესავით მოჩახჩახე,
სუფთა და წმინდა.
ღირდა ამქვეყნად მოვლინება
სიყვარულისთვის,
თუნდაც სიზმრებში ჩაძირული,
ზღვის მღელვარებით...
ციდან სიცოცხლედ
გადმოფრენილ სონეტებს ითვლის
პერგამენტებზე, შენთვის ქალი, ზე
ელვარებით.
დილის ნიავით აცელქებულ
გვირილებს ვგავარ
და პოეზიას შეხამებულ (მაინც)
წუხილებს...
ზოგჯერ მგონია, უმეტესად
მწუხრის ცისა ვარ,
დილას სამზეოდ თვალები რომ
ვერ ავუხილე...
ეჰ, მაპატიე, ამ სონეტშიც
ჩამემსხვრა დარდი,
რომელშიც ვითომ უშენობის
ცრემლებს ვმალავდი..

სონეტი 158

შემომპარვია (სამწუხაროდ) თავხედი
წლები,
ადამ და ევას შთამომავალ მოკვდავ
ნაშიერს,
მაინც დღეებო, თქვენ მოგყვებით
საუფლო ნებით,
მაინც ვარდისფერს ჩემს სიცოცხლეს
ვუქსოვ არშიებს.
მოვდივარ... მუჭში მომწყვდეული
მომაქვს სურვილი,
ჯინი, აქ ყოფნის, მზენათელი სულის
ფრიალით
და სანამ ვარ სიყვარულის მომკლავს
წყურვილი,
ისევ და ისევ ურიცხვ წელთა ცისკრის
ციალით...
მოგიძღვნი გულით მზის გულიდან
ასხლეტილ ღიმილს,
ყოველი დილა რათა უფლის
მადლივით ქუხდეს,
წვიმდეს და ლოცვად ჩაგესმოდეს
წვეთებიც წვიმის,
ჩემს სიყვარულს კვლავ მკათათვის
მზედ რომ დაებრუნდე...
ეცხოს სულს და გულს დაბრუნების
ელდა მალამოდ,
შენც მამსახურე ამ სიყვარულს ჩემო
ალამო..

საქართველოსთვის

დამასიზმრებენ ვიდრე ღამენი,
ოცნებებიდან მორჩენილ ნატვრებს,
ცვრიან თეძოებს შეარხევს დილა,
ამ დღესაც თავზე კვლავ
გადამამტვრევს.
ვიდრე სამშობლოს ჰქვია სიცოცხლე
და წუთისოფელს მზე
უხელს თვალებს,
საქართველოსთვის-უფალო
ჩემო,
ერთ-ერთ სამსხვერპლო ქალად
ჩამთვალე...
ნუ დამიღონდი ივერთ მხარეო,
შემრჩა ჯერ კიდევ მუხლებში
ძალა,
დღეს დავუბნელებ, ვინც მე
ხელიდან,
ტაო-ყლარჯეთი გამომაცალა...
ის მე მეკუთვნის... ქართველისაა
ყლარჯეთიც და... აია-სოფიაც...
შავ დღეს დაგაყრი, ვინც ხარ
(ან რაც ხარ)
შენივე ნებით დათმო ჯობია.
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,
ხარობდეს ქართველთ გენი და
ჯიში,
ნუ გავიწყდება ვისი გორის ვარ,
საქართველოსთვის ზვარაკად
ვიშვი...

სონეტი 156

მარტო ხარ... იქნებ შევხვდეთ სადმე
ერთმანეთს ისევ,
რომ გავიხსენოთ სიყვარულის
მიეთ-მოეთი,
სიზმრის აბებზე მიძინებულ
ვარდისფერ ნისლებს,
კვლავ შევახსენოთ სონეტები „ვინმე
პოეტის“.
დაქანცულ აწმყოს მოვეფეროთ,
(ძალგვიძს თუ არა)
იმავე ვნებით, რითაც ადრე დღეებს
ვკვებავდით,
თორემ... სიცოცხლის ვერსალებს
ზედ გადაუარა,
შეჩვენებულმა დავიწყებამ დროის
„ხელადით“...
ო, თუნდაც ერთხელ... თუნდაც
ერთხელ შევხვდეთ ერთმანეთს,
ამ სიბერის ჟამს მოგონებებს
ავუნთოთ სული...
მერე... გავუყვეთ ჩვენ-ჩვენ ბილიკს,
შენი კვნესამე,
თან გავიყოლოთ მეგზურივით, მზე
სიყვარულის...
რაც აქ ვერ ვგიეთ, ო, ვეძიოთ სხვა
პლანეტაზე,
ჰოდა, მომავალ შეხვედრამდე, ჩემო
მზეთამზევ...

ია ნანეიშვილი–ჟურნალისტი, პოეტი... დავამთავრა საჯიჯაოს საშუალო სკოლა. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. არის საქართველოს შემოქმედებითი კავშირის წევრი. გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული: „ნაბიჯ-ნაბიჯ თქვენთან ერთად ვივლი“ და „მზეს მინდა მივწვდე“. მისი ლექსები შესულია თანამედროვე მწერლებისა და პოეტების საერთო წიგნში: „ქვემო ქართლელი გულდებულები“. მონიჭებული აქვს ქართული სიტყვის ოსტატის წოდება. დაჯილდოვებულია ასევე ქართული კულტურის განვითარების სფეროში შეტანილი წვლილისთვის და რეგიონის ღირსეულად წარმოჩენისთვის.

უკვე დასაბეჭდად მზადაა მისი მესამე პროზაული წიგნი სახელწოდებით: „თეთრი ოცდაოთხი თვე“, რომელიც ეძღვნება ლეიკემიით დაავადებულ ადამიანებს.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი: გვანცა და ირინა მიქაუტაძეები.

* * *

ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ
არვიცი შური...
ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ
არავინ არ მძულს...
ყოველი დილა სიხარულს და
სიცოცხლეს მჩუქნის,
სხვა არაფერი ქვეყანაზე
ნამდვილად არ მსურს.
ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ
ვაჯობე ტკივილს...
ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ
ილბალი მერგო.
ყველა მოძულის, მოღალატის
პასუხად მიკვირს
და მზად ვარ ჩემი ერთგულება
გადავუნერგო...
ბედნიერებას არ სჭირდება
საფრენად ფრთები,
საკმარისია, კეთილ გულში
შემოიხედო.
და ახლა როცა, ყველა წამის
სინაზით ვტკბები
არ შემიძლია მოწყენილად
გამოვიხედო...
ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ
სიცოცხლე მიყვარს,
ჩემი შვილების თვალებიდან მზე
დნება ოქროდ.
იმდენი მზეა, გულიანი სიცილი
მინდა,
სიცილი მინდა, ბედნიერის
სტატუსით მხოლოდ!

* * *

ქალი რომ ხარ,
უნდა შეძლო დედოფლობა,
ქარვისფერი ბალი ქარგო ნაზად...
წვიმიანი შეაჩერო შემოდგომა-
წაგება არ მოგვიდეს აზრად!..
წვიმას ცასთან მოუხერხო დაზავება,
თეთრ მანდილად ყელერდეს შენი
ფრაზა...
იდედოფლო და ყოველთვის
გაიმარჯვო-
ბედსაც ალარ დაუტოვო სხვა გზა!..
ქალი რომ ხარ,უნდა იყო
ერთადერთი,
შენს სამეფოს გალავანი ახლავს?!
ბოროტებამ ვერ დაგაკლოს
ვერაფერი-
მტრედს ატანდე სასიკეთო
ამბავს...
შემოდგომის ბალში ჩიტი
გიგალობდეს,
მიწად გფენდეს ბროწეული
ატლასს...
ყოველი დღის გათენება
გიხაროდეს,
შურდეს შენი ვარდებსა და
ზამბახს.
ქალი რომ ხარ, უნდა შეძლო
დედოფლობა,
ქარვისფერი ბალი ქარგო ნაზად...
წვიმიანი შეაჩერო შემოდგომა-
წაგება არ მოგვიდეს აზრად!..

* * *

დედის ფრთის ქვეშ ალარაფრის
გეშინია,
დარდი სადღაც გაქრება და სევდაც.
თავისუფლად ამოსუნთქვა
შეგიძლია,
როცა გვერდით გეგულება დედა.
მის მკლავებში არაფერი
გემუქრება,
შუბლზე კოცნით დაგიამებს წყენას.
თმაზე თბილად ხელისგულს
რომ გადაგისმევს,
მაშინათვე გაგრძნობინებს
შვებას.
დედის ხელი, როცა პირჯვარს
გადაგსახავს,
სადაც წახვალ, ღმერთის თვალი
გხედავს.
დაგიცავს და განსაცდელებს
აგარიდებს,
წყენინებას ვერვინ გაგიბედავს.
მის კალთაში დაუჭკნობი
წალკოტია,
სამოთხეა, ნდობაა და რწმენა.
დედის გულზე თბილი გული არ
მგონია,
ვინმეს კიდევ ჰქონდეს მკერდში
ქვეყნად.
რაც არ უნდა ქარიშხალი ამოვარდეს,
არ გაშინებს, გვერდით თუ გყავს
დედა.
ყველა დედა ნეტავ დიდხანს
ცოცხლობდეს და,
არასოდეს ბერდებოდეს ნეტავ...

* * *

რამდენი ალმართი ამივლია...
რამდენი დალმართი ჩამივლია...
ახლა ,ყველაფერი ადვილია...
ახლა, ყველაფერი მარტივია...
რამდენი წუხილი განმიცდია...
რამდენი ხალისი გამივლია...
ახლა, ყველაფერი ნასწავლია...
ახლა, ყველაფერი ჩავლილია...
რამდენი უსამართლოდ
მომქცევია...
რამდენის ქებით ცაზე გამივლია...
ცუდი ყველაფერი დავივიწყე,
ასე გალიმება ადვილია...
რამდენჯერ თავი ჩუმად
დამიხრია...
რამდენ დარდს ფიქრი უხმოდ
დაუხრია...
მე მაინც იმედი მახვევია...
სულს ასე სულ ყველა გაუცვნია...
ჰო, ახლა ყველაფერი ნათელია...
ყველაფერს სახელი დარქმევია...
არ ვამბობ, ცხოვრება
დამღლელია,
რადგან მე წუწუნი არ მჩვევია...
ამიტომ გადავრჩი ქარ-ცეცხლიდან...
გადავრჩი წარღვნიდან უიმედო...
იცი, რა?!-რაც შენთვის ალარ
გინდა,
არც სხვისთვის უნდა გაიმეტო!..

ახალი ინიციატივის დიდი გამოცდილება

„მინდა სიკეთით შევცვალო ჩემი წილი სამყარო“

ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბიზნესმენის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

კომპანია „შარა-გზამშენი პირველი“ შეიქმნა 2005 წელს - გენერალური დირექტორი გივი შენგელია.

სამშენებლო სფეროში კომპანიის წარმატებაზე მეტყველებს მის მიერ შესრულებული სამუშაოების მზარდი რაოდენობა თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით : ხიდებისა და გზაგამტარების, გზების სამშენებლო სამუშაოები, სარეკონსტრუქციო სამუშაოები, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია-მშენებლობა ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობა; გაზიფიცირების შედეგად დაზიანებული გზების რეაბილიტაცია, პარკების, სკვერების და საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა.

კომპანიას გააჩნია ასფალტო–ბეტონის ქარხანა, ქვა-ღორღისა და კირქვის მოსაპოვებელი კარიერები, ქვის სამტვრევი დანადგარი. კომპანია ამზადებს სხვადასხვა ზომის სამშენებლო ბლოკებს, ბორდიურებს, ტროტუარის ქვაფენილებს, მოსაპირკეთებელ ფილებს, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს. გააჩნია საზეინკლო და შედუღების საამქროები, აგრეთვე ფლობს საჭირო ტექნიკას სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად.

როცა ფიქრი დავიწყე თუ ვინ იქნებოდა მუნიციპალიტეტში კეთილი ნების პასუხისმგებლიანი ბიზნეს ოპერატორი, გონებაში იმ წამს გივი შენგელია ამომიტივტივდა. ბევრი კარგი საქმის გამკეთებელი, ყოველგვარი უკუგებისა და მოლოდინების გარეშე, სიკეთის ელჩი...

მისი პასუხისმგებლიანი სოციალური საქმეების ჩამოთვლა ალბათ შორს წაგვიყვანდა, თუმცა ბოლო პროექტი რამაც ბიზნესმენთან დამაკავშირა, ეს იყო მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ლოგოპედის ოთახის მოწყობა. პროექტის დონორი იუს ბანკია, ხოლო თანადამფინანსებელი ბატონი გივი გახლდათ, რომ არა ბავშვებისთვის უკეთესი გარემოს შექმნის სურვილი, ალბათ, საბოლოოდ ეს პროექტი ვერ შედგებოდა...

CSR ანუ სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობა ახალი მიმართულებაა ბიზნესში, რომელიც დასავლეთის განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში შემუშავდა და დღეს აქტიურად იკიდებს ფეხს ჩვენს საზოგადოებაში, თუმცა ჯერ კიდევ „ახალი ხილია”, რომლის „გემო“ ბევრმა არც იცის.

კითხვაზე, გსმენიათ თუ არა CSR-ის შესახებ, ბიზნესმენი ჩაფიქრდა, თუმცა პასუხისმგებლიანი, კეთილი ნების ქცევა გივი შენგელიასთვის უცხო არ არის.

გმადლობთ, რომ მესაუბრეთ CSR -ის შესახებ და გამაცანით მისი ძირითადი მახასიათებლები. ეს თითქმის ჩემი კრედოა–მესაუბრება ბატონი გივი–ვაკეთო სიკეთე უანგაროდ, შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყო თანამშრომლების კარიერულ და პირადული მოთხოვნების ურთიერთშეთანხმებას. ვიზრუნო ეკოლოგიაზე, ადგილობრივი თემის განვითარებაზე (აქ მცხოვრები ადამიანების დასაქმებაზე), ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე. მინდა სიკეთით შევცვალო ჩემი წილი სამყარო და ჩემს შვილსაც ანდერძად დავუტოვო.

თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელს უწყობთ ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

–დიახ. ქ.ხობში ავაშენეთ და კეთილმოვაწყვეთ სპორტული მოედანი. 12 წელია ვატარებთ რეგიონულ ტურნირებს, სადაც სენაკის, ხობის, ფოთისა და ზუგდიდის ნორჩი ფეხბურთელები ეჯიბრებიან ერთმანეთს და იბრძვიან პირველობისთვის. ის მედლები, პრიზები სტიმულია ნორჩი ფეხბურთელებისთვის და დიდი წარმატებისკენ უხსნის მათ გზას. მიხარია, როცა მოედანს ჩავუვლი, იქ მუდამ ბავშვების ჟრიამულია. მინდა ეს ტრადიცია მომავალშიც უწყვეტად გაგრძელდეს და ხელი შევუწყოთ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და არა მავნე ჩვევებს.

თქვენს მიერ განხორციელებულ კეთილ საქმეებზე ხალხი უფრო ბევრს საუბრობს ვიდრე თქვენ..

–ღმერთი ხედავს, ვაკეთებ იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად უანგაროდ დახმარების ხელი გავუწოდო ყველას. ჩემთვის ყველაზე დიდი ტკივილი უარის თქმაა, რაც ძალიან მიჭირს..

თქვენ არა მარტო ადამიანებზე, ბუნებაზეც ზრუნავთ. კომპანიის ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი ქმედებები რაში გამოიხატება?

ორგანიზაციას დაწყებული აქვს თანამშრომლობა აგრარულ სექტორთან. ავაშენეთ დაფნის გადამამუშავებელი საამქრო, რომელიც აღიჭურვა საჭირო დანადგარებით. კომპანია გეგმავს ფერმერებიდან შესყიდული დაფნის ფოთლის გაფოთვლა-გაშრობა-დახარისხებას, გადამუშავებას და რეალიზაციას.

კომპანიას ყავს პარტნიორი კომპანია “ფერმერის სახლი”, რომელიც ახდენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის რეალიზაციას და მოწოდებას.

ერთი ინიციატივა რომ შემოგთავაზოთ ხართ თანახმა?

–გისმენთ.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ბევრი ახალგაზრდაა კრეატიული იდეებით, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი იდეის განვითარებას, ხართ თანახმა მიიღოთ კონკურსში მონაწილეობა და საუკეთესო იდეის მქონე ახალგაზრდას დაეხმაროთ მათ განხორციელებაში?

–ეს ნამდვილად კარგი იდეაა, სადაც მოხდება ჭკვიანი და კრეატიული იდეების მქონე ახალგაზრდების წარმოჩენა და მათი ხელშეწყობა.

საშური საქმეა, რომელიც ყველა, ცოტათი მეტი შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა და როგორც თქვენ ამბობთ, ბიზნესოპერატორებმა ხელი უნდა შეუწყოს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა სხვა არაფერია, თუ არა ბიზნესის კეთილი ნება, აიღოს საკუთარ თავზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე მას კანონი ავალდებულებს, ნებაყოფლობით ზრუნავს საზოგადოების კეთილდღეობაზე და დადებითი წვლილი შეაქვს მცირე სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემის მოგვარებაში და ჩემი რესპოდენტის თქმისა არ იყოს ყველამ თავისი წილი სამყარო შეცვალოს სასიკეთოდ.

წარმატებებს გისურვებთ ბატონო გივი.

ლელა ალანია.

სპორტი

კობა შუბითიძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში

ხობის მუნიციპალიტეტის საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში, 2004 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ჯარისკაცის, კობა შუბითიძის სახელობის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრები გაიმართა.

ტურნირში ახალსოფლის, საგვიჩიოს, შავღელეს, ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულების გუნდებთან ერთად, ქუთაისის მესამე ქვეითი ბრიგადის, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის, ხონის მეორე საარტილერიო ბრიგადის და ქობულეთის გუნდები მონაწილეობდნენ.

საფეხბურთო ტურნირის გამარჯვებული ახალსოფლის გუნდი გახდა. ახალსოფლელებმა ფინალში ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდი, პენალტების სერიაში 5-4 დაამარცხეს და კობა შუბითიძის სახელობის თასს დაეუფლნენ.

ტურნირის ფინალს და დაჯილდოების ცერემონიას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, პარლამენტის წევრები, ხობის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი (დაჩი) ბერაია, გიგა ბუკია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერის მოადგილე ვარაზ გაბედავა, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას თასზე

დასრულდა ტრაგიკულად დაღული ახალგაზრდა ფეხბურთელის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ხონის, სამტრედიის, ოზურგეთის, ფოთის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტში 2008–2009 წელს დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები. გუნდები კენჭისყრის შედეგად ასე დაწყვილდნენ:

A ჯგუფში ასპარეზობდნენ ხონის, სამტრედიის, ოზურგეთისა და ხობის გუნდები.

B ჯგუფში გამოდიოდნენ ზუგდიდის მარტვილის, სენაკის და ფოთის ფეხბურთელები. ჯგუფებში თამაშები წარიმართა დაძაბულად და გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები.

A ჯგუფიდან ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ხობისა და ოზურგეთის გუნდებმა.

B ჯგუფიდან კი ზუგდიდისა და მარტვილის დინამოს აკადემიის ფეხბურთელებმა. ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ზუგდიდი, ოზუგერთი, ხობი, მარტვილი. პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ზუგდიდელებმა ადვილად დაამარცხეს ოზურგეთელები და ფინალში გავიდნენ.

მეორე ნახევარფინალში ხობისა და მარტვილის დინამოს აკადემიის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს, მატჩი დაძაბულად წარიმართა. თავიდან დაწინაურდნენ ხობელები, თუმცა მარტვილელებმა მეორე ტაიმში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და მატჩის ძირითადი დრო ფრედ 1:1 დამთავრდა.

პენალტების სერიაში უძლიერესები აღმოჩნდნენ (5:4) მარტვილელები და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. 4 სექტემბერს გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი.

მესამე ადგილისთვის მატჩში ოზურგეთელებმა დაამარცხეს ხობელები და დაისაკუთრეს მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელები.

ფინალური მატჩი ზუგდიდის სასპორტო სკოლისა და მარტვილის დინამოს აკადემიის ფეხბურთელებს შორის წარიმართა დაძაბულად.

ზუგდიდელებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება 3:2 და დაისაკუთრეს ნუტი ლემონჯავას სახელობის გარდამავალი თასი და სიგელები. მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელები გადაეცათ მარტვილელებს.

პრიზები გადაეცათ ასევე საუკეთესო ფეხბურთელებს სხვადასხვა ნომინაციაში:

საუკეთესო მეკარე–ლუკა ბანძელაძე (ხობი).

საუკეთესო მცველი–ლუკა ცეცხლაძე (მარტვილი).

საუკეთესო ნახევარმცველი –ბექა გოგოლაური (ოზურგეთი).

საუკეთესო თავდამსხმელი–ლევან ჯიშკარიანი (ხობი).

საუკეთესო ბომბარდირი–გიორგი ბულია (ზუგდიდი).

საუკეთესო ფეხბურთელი–ლუკა ბუკია (მარტვილი).

ტურნირის საუკეთესო გოლის ავტორი–საბა ვართაგავა (ხობი) გახდა.

ტურნირის პერსპექტიულ ფეხბურთელად აღიარეს–დავით კაკუბერი (ხობი).

დაჯილდოებას უძღვებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია, საკრებულოს წევრები დოდო გაბუნია, ვლადიმერ ქანთარია, დავით ბერაია, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივიცენტრის დირექტორი ბეჟან ბერაია. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან ლატარია, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქ. ხობში კობა თუთბერიძე, ვეტერანი ფეხბურთელი მურად კუპრეიშვილი.

დაჯილდოების შემდეგ ტურნირის ორგანიზატორებმა, მონაწილეებმა და ნუტის ოჯახის ახლობლებმა ყვავილებით შეამკეს საფლავი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

ჯულიეტა ლატარია.

ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

ალექსანდრე (საშა) არჩაიას!

მასწავლებელთა მასწავლებელი, ხობის საპატიო მოქალაქე, ხობის №2 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი ალექსანდრე (საშა) არჩაია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის სიგელით“ დააჯილდოვა.

ათეული წლები ემსახურა (როგორც სკოლის ხელმძღვანელი და პედაგოგი) ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ახლახან გამოსული მისი მეორე წიგნი მათემატიკა V–XII კლასელებისთვის (დამხმარე სახელმძღვანელო) გამორჩეული მათემატიკოსის თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

ბატონი საშას ცხოვრება იმის ნათელი მაგალითია, როგორი უნდა იყოს მეუღლე, მამა, ბაბუა, მოქალაქე, ქვეყნისა და ერის გულშემატკივარი...

ვულოცავთ ბატონ საშას დიდ ჯილდოს, თუმც დამსახურებული მასწავლებლის წოდება მას დიდი ხანია ფართო საზოგადოებამ, თავისმა მოსწავლეებმა და მშობლებმა „მიანიჭეს“.

ვუსურვებთ, დიდხანს ბედნიერი და ჯანმრთელი იყოს სკოლის ბერმუხა ხობელთა გულგასახარად, გაზეთის გულშემატკივრად და თანამდგომად.

„ხობის მოამბეს“ თანამშრომლები.

რეზო თოდუა–80

60 წელი ქართული კულტურის, სულიერებისა და ხელოვნების სიყვარულის სამსახურში. 60 წელი–შესაძლებლობისა და საოცარი უნარის, სურვილისა და მიზნის ლიტერატურულ საღამოებად, სპექტაკლებად მუსიკალურ- თეატრალურ ღონისძიებებად გარდასაქმნელად.....

ხელოვნების სხვადასხვა დარგის სიმღერის, მუსიკის, ლექსის თქმის ოსტატობის სწავლებასა და ჩვეულებრივი დღეების დღესასწაულებად გადასაქცევად...

ის არ დაღლილა.. ისევ შემოქმედებითი წვით ანთებულია. სცენიდან მისი ჩამოსვლა სიცოცხლის წართმევის ტოლფასია. არ არსებობს წინაღობა, მანძილი... გადაივლის, იტვირთებს, შესძლებს დახელოვნების ურთულეს ტვირთს საოცარი სიმსუბუქით აზიდავს... ის ერთნაირად ართმევს თავს სპექტაკლებსა და ხალხურ სიმღერებს, ამიტომ საზღვარს სცილდება მისდამი პატივისცემა ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა და ხობის საპატიო მოქალაქედ აირჩია, გულის გული გაუღო, შეიყვარა, დააფასა...

დიდხანს იცოცხლეთ ბატონო რეზო, ულევ სიხარულს გისურვებთ შვილებთან, შვილიშვილებთან და დიდ ოჯახთან ერთად.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

სიყვარულით

ნაირა ბერაია.

წარმატებული...

კოკა ბუკია 5 წლის ასაკიდან თამაშობს ჭადრაკს, მისი პირველი მასწავლებელი მამამისი, ჩვენი რაიონის სასიქადულო შვილი აწგარდაცვლილი სპარტაკ ბუკია იყო.

ნიჭიერმა კოკამ დაუღალავი შრომით მალევე მიაღწია სასურველ შედეგს, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის ჭადრაკში ორგზის ჩემპიონი გახდა. ქ. თბილისის ახალგაზრდებს შორის ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ გარი კასპაროვთან ჭადრაკის თამაში ყაიმით დაასრულა.

კოკას მონაწილეობა აქვს მიღებული 4 საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, მან ქ. სალონიკის (საბერძნეთი) საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ოქროს მედალი დაიმსახურა, საერთოდ ის 7 ოქროს მედლის მფლობელია.

კოკამ წელს წარმატებით დაამთავრა ქ. თბილისის ვლადიმერ კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლა და ჩაირიცხა ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე 100 პროცენტიანი გრანტით.

შვილმკვდარი ბებია-ბაბუას სვეტლანა პაჭკორიას და კოკი ბუკიას უდიდესი სიხარული მოჰგვარა შვილიშვილის წარმატებამ.

დედას, ბებიებს და ბაბუას გილოცავთ კოკას ამ დიდ წარმატებას და გისურვებთ მის ახალ-ახალ გამარჯვებებს მომავალ ცხოვრებაში.

გიგლა კვიკვინია,
ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

ხობელები უცხოეთში

გიორგი ლოლუა

გიორგი ლოლუა 1919 წლის 19 ივნისს დაიბადა სამეგრელოში, სოფელ ზემო ქვალონში, ალექსანდრე ლოლუასა და მინადორა ფანცულაიას ოჯახში. 1920 წელს მამა გარდაეცვალა და დედამ გაზარდა. 1936 წელს დაამთავრა თბილისის №1 სკოლა, 1941 წელს კი–საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტი ინჟინერ–ელექტრიკოსის სპეციალობით.

II მსოფლიო ომში 1941 წელს გიორგი ლოლუა მოხალისედ წავიდა. იბრძოდა ლენინგრადის ფრონტზე, მალე ტყვედ ჩავარდა. ტყვეობიდან ემიგრანტმა ქართველებმა იხსნეს და ქართულ ბატალიონში ჩაწერეს. 1944 წ. ნაწილი, რომელშიც გიორგი ლოლუა ირიცხებოდა, გერმანელებმა ჩრდილოეთ იტალიაში გადაიყვანეს, თუმცა ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია, ომის შემდეგ საბჭოთა მხარემ ყოფილი ტყვეებისა და ლეგიონერების გადაცემა მოითხოვა. ინტერნირებულებს საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიისა და იტალიის საოკუპაციო ბანაკებში უყრიდნენ თავს, იქიდან კი ისინი ხშირად პირდაპირ ციმბირში ხვდებოდნენ.

გიორგი ლოლუა იტალიაში დარჩა და მიუხედავად დიდი ეკონომიკური სიდუხჭირისა, მილანელ ქალიშვილზე დაქორწინდა, რომელთანაც ომის წლებში ჰქონდა მიმოწერა. 1947 წელს საბჭოთა კავშირის მხარის მოთხოვნით საფრანგეთისა და იტალიის სოციალისტურმა მთავრობებმა „კოლაბორაციონიზმის“ ბრალდებით დააპატიმრეს გერმანიის მხარეს მებრძოლი ქართველები.

1950 წელს იტალიაში კუნძულ ლიპარის ბანაკში ტყვედ იყო და შველას ითხოვდა 11 ქართველი, რომელთა შორისაც იყო გიორგი ლოლუა. 1951 წ. საერთაშორისო ორგანიზაციის შუამდგომლობით და მიუნხენის კოლონიის თავმჯდომარის ალექსანდრე კორძაიას აქტიურობით ქართველი ტყვეები გაანთავისუფლეს და ნეაპოლთან სატრანზიტო ბანაკ ბანიოლაში გადაიყვანეს, საიდანაც ემიგრანტებმა გამოიხსნეს, ერთხანს პარიზში ჩაიყვანეს და შემდეგ ამერიკაში გადაგზავნეს.

გიორგი ლულუა კანადაში, ქალაქ ჰამილტონში დასახლდა და 33 წლის მანძილზე უდიდეს მეტალურგიულ ქარხანაში ერთ–ერთი საამქროს მთავარ ინჟინრად მუშაობდა, საიდანაც დიდი პატივითა და ჯილდოებით გააცილეს პენსიაზე.

ლექსების წერა გიორგი ლოლუამ საქართველოში დაიწყო. მისი ლექსების ხელნაწერი კრებული 1940 წლით თარიღდება. 1941-1942 წლებში მისი რამდენიმე ლექსი გაზეთებში „კომუნისტსა“ და „თბილისში“ დაიბეჭდა. ასევე რამდენიმე ლექსი ომის წლებში ემიგრანტულ გაზეთებში „ქართველი ერი“ და „საქართველო“ დაიბეჭდა. ომის შემდეგ კი ერთი ლექსი გამოქვეყნდა ჟურნალ „ბედი ქართლისაში“. „მამულში“ გამოქვეყნებულმა მისმა ორმა ლექსმა გრიგოლ რობაქიძის ყურადღება და მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1939-1990 წლებში დაწერილი ლექსების ხელნაწერი კრებული გიორგი ლოლუამ გურამ შარაძეს გამოუგზავნა.

გიორგი ლოლუამ თავის ერთი ლექსი ინგლისურად თარგმნა და ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნა. წერდა მოთხრობებსაც, თუმცა მათი ერთ წიგნად გამოცემა ვერ მოასწრო. უკვე უკურნებელი სენით დაავადებული გიორგი ლოლუა მეუღლეს, რომელმაც ქართული არ იცოდა, სთხოვდა, მასთან ქართულად ელაპარაკა.

1990 წლის 21 დეკემბერს გიორგი ლოლუა გარდაიცვალა.

გიორგი ლოლუას სამი შვილი–სანდრო, ლეილა და სანდრა კანადაში ცხოვრობენ. 2013 წელს ლეილა ლოლუა პირველად ეწვია საქართველოს.

* * *

ეს მიდამო კოლხეთისას არა ჰგავს,
არსად მთები, არც ქოხები ისლის,
მაგრამ მაინც მაალებს და მდაგავს
მინდორ-ველზე გაფენილი ნისლი.
თეთრ ქულებად დაპენტილო
ნისლო,
რად ატოკებ სნეულ გულის კარებს,
გადამძალე და იქნება ფიქრობ,
შენ მოგიძღვნი ამ პატარა
ბწკარებს,
არ დაგითმობ ერთ პატარა
ბწკარედს,
არ დაგითმობ ერთ პატარა
მარცვალს,
არც სტრიქონთა ციალსა და
ნათელს,
და თუ გულში რამე გრძნობა
ჩამრჩა,
ვანაცვალებ საქართველოს სახელს!"

***

ნარიყალას დააყარა
მზემ სხივები მწველი,
ვარდმა ბაღში ქალწულივით
მოიღერა ყელი,
მთაწმინდიდან აიყარა
თრიალეთის ქარი,
ორთაჭალას მიესალმა
ჭირნახული მტკვარი...

* * *

„სად არ მივლია ფეხდაფეხ
ბზიფიდან ტაშისკარამდე,
რამდენ ათასჯერ შევსძახე
ქედებს დაფერილს ბარამდე,
არც ახსოვთ მთებს და
ვენახებს
სიმღერას გულში ვფარავდე.
ზამთარში თოვლის ფანტელი,
მაისში-ვარდთა ფერობა,
ყვავილთა კორიანტელი,
ბულბულის ნაზი სერობა
და ჩემი მხარის ნათელი
მიწვევდნენ სასიმღეროდა...."

მასალა მოგვაწოდა ლევან ლვინჯილიამ.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.